კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება

0312.1.2

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 02-2024

18 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 02-2024

18 აპრილი, 2024 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
ფართო სფერო
სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
ვიწრო სფერო
სოციალური და ქცევითი მეცნიერებები
დეტალური სფერო
პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
სწავლის სფერო
საერთაშორისო ურთიერთობები
სწავლის ხანგრძლივობა
სწავლების ხანგრძლივობა 4 სემესტრი (2 სასწავლო წელი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 ECTS კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი **Master of International Relations**
სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელი
ვახტანგ მაისაია, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ნებისმიერი სფეროს/სპეციალობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა–ტესტირების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წინაპირობაა **ინგლისური ენის B2დონეზე ცოდნა.**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის, უნივერსიტეტში, სპეციალობაში ჩატარებული შიდა გამოცდისა და ინგლისურ ენაში ტესტირების შედეგები.
ტესტირებისგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის **B2დონეზე** ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.
ინგლისურში ტესტირებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ინგლისურ ენაზე აქვს დამთავრებული საბაკალავრო პროგრამა.
უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, სპეციალობაში გამოცდის ნაცვლად შესაძლოა ჩატარდეს გასაუბრება.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთაასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org).

B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL PBT)ქულათა ოდენობა:არანაკლებ 513 ქულა;
ტოიფელი (TOEFL IBT)ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა;
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამის მიზანია:
მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების საკითხების ღრმა თეორიულ ცოდნას და რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო ურთიერთობების, კონფლიქტების მოგვარების და რეგიონული უსაფრთხოების პრობლემების ღრმა ცოდნა;
მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომელთაც ექნებათ პოლიტიკური და უსაფრთხოების პრობლემების კვლევისა და ანალიზის მეთოდების ცოდნა;

მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ პოლიტიკური და უსაფრთხოების პრობლემების კვლევის დამოუკიდებლად გადაჭრის გზების მოძიებას.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

- ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების შესახებ თეორიულ ცოდნას, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს პოლიტიკურ მეცნიერებებს, საერთაშორისო ურთიერთობებში და საერთაშორისო უსაფრთხოებაში არსებული თეორიული ასპექტების ცოდნას და კრიტიკული გააზრებას;
- იცნობს მსოფლიო პოლიტიკის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებს და უსაფრთხოების პრობლემებს, რაც აუცილებელია პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;
- იცის საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების განვითარების ისტორია და ამ მიმართულებების მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების საქმეში.

კურსდამთავრებულს:

- გააჩნია სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტების (სახელმწიფო სტრუქტურები, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მოძრაობა, მას–მედია და სხვ.) როგორც საშინაო, ასევე საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობის, კომპეტენციების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:

- აქვს საერთაშორისო პოლიტიკის, საერთაშორისო უსაფრთხოების და დიპლომატიის მიმართულებით პრობლემის გადასაჭრელად გზის დასახვისა და კვლევის მეთოდის განსაზღვრის, აგრეთვე თეორიული მსჯელობის არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი;
- აქვს პოლიტიკურ–ანალიტიკური, ანგარიშების, სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების შემუშავების უნარი, ამასთან, შეუძლია გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ინტერესები, ღირებულებები, აგრეთვე გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული, ეკონომიკურ-სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები;
- შეუძლია მოსმენილი ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი ნაწილების გამოყოფა და მათი ანალიტიკურად დამუშავება, დებატების წარმართვა სხვადასხვა შეხედულებებთან დაკავშირებით, განსხვავებულ თემებზე როგორც წერილობით, ასევე ზეპირსიტყვიერად არგუმენტირებული პოზიციის დაცვა;
- შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების სფეროში სამეცნიერო – კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება, რომელიც შესაძლებელია შემდგომში წარდგენილ იქნეს სამეცნიერო კონფერენციაზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საგარეო, საშინაო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება და დაცვა,

შესაბამისი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მონაცემთა გაანალიზება და ინტერპრეტაცია კვლევის მიზნით და ასევე სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანი დისკუსიის წარმართვა, საკუთარი პოზიციის ნათლად და დეტალურად გადმოცემა, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის პროცესში;
- განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური წერილობითი ანგარიშისა და ანალიტიკური ხასიათის მასალის მომზადება.
- აქვს უნარი ინდივიდუალურად იმუშაოს დარგში არსებულ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაზე შესაბამისი წყაროების გამოყენებით და დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ვერბალური – ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- პრეზენტირებისა და დემონსტრირების მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დისკუსია/დებატების მეთოდი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- თანამშრომლობითი **(cooperative)** სწავლება;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება **(PBL)**
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- შემთხვევის ანალიზი **(Case study),** იგივე თვალსაჩინო მაგალითის განხილვით სწავლება;
- გონებრივი იერიში **(Brain storming);**
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით ემპირიული კვლევის მეთოდების შესწავლა;
- „კონტენტ ანალიზი";
- გამოცდილებითი სწავლების მეთოდი;
- თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი;
- რაპორტის შედგენა.

კონკრეტული სასწავლო დისციპლინის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება კურსის სწავლების მეთოდების შერჩევა, რაც შესაბამისი დისციპლინის სილაბუსში აისახება.

1. წიგნზე მუშაობის მეთოდი -მეთოდია, რომლის დროსაც ხდება ფაქტებზე დაყრდნობით კონკრეტული შედეგების მიღწევა. ეს ძირითადად კრიტიკული აზროვნებაა;

2.ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ;

3.პრეზენტირებისა და დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად

წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;

4.წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება;

5.დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. დისკუსია/დებატების მეთოდიდან გამოვყოფთ თავისუფალ და მიმართულებით დისკუსიას;

- **თავისუფალი დისკუსია** - თავისუფალი დისკუსიის მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, სადაც სტუდენტი მიეჩვევა საკუთარი აზრის არგუმენტირებულ და გამართულ ფორმულირებას. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი მივაჩვიოთ კრიტიკული აზროვნების ძირითად პრინციპებს. თავისუფალი დისკუსიის დროს ლექტორი ქმნის ე. წ. მართვადი ქაოსის ვითარებას და ცდილობს, სტუდენტებმა, კონკრეტულ წესებზე შეთანხმების გზით, თავად მოახერხონ ვითარების დარეგულირება.
- **მიმართულებითი დისკუსია** - სწავლების მეთოდია, რომლის დროსაც ჯგუფი განიხილავს ერთ კონკრეტულ საკითხს, ლექტორი კი, (შეკითხვების, რეპლიკებისა და თეზისების ფორმულირებით) უზრუნველყოფს დისკუსიის იმ მიმართულებით წაყვანას, რაც კონკრეტული საკითხის საფუძვლიანი შესწავლის ინსპირირებისათვისაა საჭირო. მიმართულებითი დისკუსია ერთგვარი სტიმულია, რომ სტუდენტი დაინტერესდეს საკითხის სიღრმისეული ანალიზით და მისი შესწავლა დაიწყოს.

6. ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

7. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;

8. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;

9. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;

10. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

11. შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.

მაგალითად, კაზუსის ამოხსნა;

12. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა;

13. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;

14. „კონტენტ ანალიზი“ („შინაარსის ანალიზი“) - წერილობითი მონაცემების, მათი ძირითადი შინაარსისა და მოწოდებული ცნობის - შეჯამებასა და წარდგენას გულისხმობს. კონტენტ ანალიზი განისაზღვრება, როგორც წერილობითი მონაცემების შინაარსის დეტალური ანალიზის, შესწავლისა და დასაბუთების ზუსტი და თანმიმდევრული პროცედურების ერთობლიობა. ეს არის „კვლევის ტექნიკა, რომელიც ტექსტებიდან (ან მნიშვნელობის მქონე სხვა შინაარსიდან) მათი (ამ ტექნიკების) გამოყენების კონტექსტის შესახებ გამეორებადი და ვალიდური დასკვნების გასაკეთებლად არის განკუთვნილი.

15. გამოცდილებითი სწავლების მეთოდი, იგივე კეთებით სწავლება - პრაქტიკული სტრატეგიაა. ამ სტრატეგიის გამოყენების დროს ხდება ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისთვის. იგი მიზნად ისახავს, რომ მაგისტრებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას. კეთებით სწავლა ეხმარება სტუდენტს აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, თავად იყოს მისი მონაწილე, მიიღოს ახალი ცოდნა;

16. თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი - უზრუნველყოფს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლის პროცესში და კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით, სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა და არა — ინფორმაციის პასიური მიმღები. ცოდნის მიღებაში კი იგულისხმება ამ ცოდნის კონსტრუირება-აგება სტუდენტის აქტიური თანამონაწილეობით. მაგისტრანტი უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც ის ახდენს საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას და საკუთარი გამოცდილების მეშვეობით წყვეტს საკითხს, დავა-ლებას.

17. რაპორტის შედგენა - წინა სალექციო მასალის, დისკუსიის, დებატების რეზიუმე და წერილობითი ფორმით ჩაბარება-წარმოდგენა და ა.შ.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები

1. ლექცია;
2. სამუშაო ჯგუფში მუშაობა:

- სემინარები—დასმულ პრობლემაზე მსჯელობა/დისკუსია, ანალიზი, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის პრინციპით;
- კითხვა–პასუხი;
- თავისუფალი დისკუსია;

3. პრაქტიკული მეცადინეობები;
4. ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტის მომზადება;
5. პრეზენტაციები;
6. კვლევის წარმოება;
7. შუალედური გამოცდის მომზადება, დაგეგმვა.
8. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის ძირითადად გამოიყენება წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების ან წინასწარ შერჩეული თემის მომზადებას და მის პრეზენტაციას, ზოგიერთი თემის მომზადებას და წარდგენას. ზოგჯერ გამოიყენება დოკუმენტური ფილმების დემონსტრირება, სიმულაციური თამაშებისა და მოდელირების ჩატარება.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და სტუდენტს ეცნობება სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება **უნივერსიტეტის კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანებით დამტკიცებული „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების“ შესაბამისად (იხ. www. ciu.edu.ge).**
პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და **„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.**
განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება, ისევე როგორც სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონეტის შეფასება უნივერსიტეტში წარმოებს 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება.

შუა სემესტრული შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებებს და შუალედურ გამოცდას, რომელიც ჯამში მაქსიმუმ 40 ქულის ტოლია. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედურ შეფასებებში 30 ქულაა.
რაც შეეხება დასკვნით გამოცდას, მისი მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულის ტოლია.
კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასება შუალედური შეფასებებითა და დასკვნითი გამოცდის შეფასებით, 51 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას, ის ფასდება ერთჯერადად, კომისიის წინაშე სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულ 30 კრედიტს და მიენიჭება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების **4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

აკადემიური ხარისხის/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის /კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი შემდეგი ხარისხის სახელმწიფო ნიმუშის დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად:

- **წარჩინების დიპლომი - GPA 3.5** და მეტი კომპეტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;

- **ჩვეულებრივი დიპლომი - ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები.**

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალურ მეცნიერებათა სფეროს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

დასაქმების სფერო

„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ საკმარისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ იმუშაონ საჯარო სამსახურში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში, დიპლომატიურ სამსახურში და მას-მედიის საშუალებებში, დაწესებულებებში, რომელთაც შეხება აქვთ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმოებას, ანალიზსა და შემუშავებასთან.
კურსდამთავრებულებს საშუალება მიეცემათ მომავალში იმუშაონ ანალიტიკურ დეპარტამენტებში.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა ისეა აგებული, რომ დააკმაყოფილოს სტუდენტების მისწრაფებები და სურვილები და მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტები.
სამაგისტრო პროგრამა შედგება სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების (A), სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების (B), პრაქტიკული კომპონენტის (C) და კვლევითი კომპონენტისგან (D).

„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამის ელემენტები (120 ECTS)

(A) სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - **60 ECTS**
(B) სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - **15 ECTS**
(C) პრაქტიკული კომპონენტი - **10 ECTS**
(D) კვლევითი კომპონენტი - **35 ECTS**

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
		სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	MINTREL001	პოლიტიკის თეორია	X	X	X
2.	MINTREL027	საერთშორისო ურთიერთობების თეორია	X	X	X
3.	MINTREL002	დიპლომატია და მსოფლიო პოლიტიკური პროცესები	X	X	
4.	MINTREL011	საერთაშორისო ორგანიზაციები და რეგიონული უსაფრთხოება	X	X	X
5.	MINTREL011	საერთაშორისო ორგანიზაციები და რეგიონული უსაფრთხოება	X	X	X
6.	MINTREL005	უსაფრთხოების თეორია	X	X	X
6.	MINTREL005	XXI საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესები	X	X	X
7.	MINTREL003	საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები	X	X	X
8.	MINTREL028	საგარეო პოლიტიკის ანალიზი	X	X	
9.	MINTREL008	ეკონომიკური უსაფრთხოება	X	X	X
10.	MINTREL009	გეოსტრატეგია და მსოფლიო პოლიტიკა	X	X	X

11.	MINTREL025	ენერგოუსაფრთხოება	X	X	X
12.	MINTREL010	დიდი სტრატეგია ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში	X	X	X
		სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები			
1.	MUNIV031	საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე)	X	X	X
2.	MINTREL012	ძალაუფლების თანამედროვე თეორიები	X	X	
3.	MINTREL013	საჯარო -პოლიტიკური მმართველობა	X	X	X
4.	MINTREL036	სამოქალაქო თავდაცვის საფუძვლები	X	X	
5.	MINTREL030	კონფლიქტების მართვა და გენდერული თანასწორობა	X	X	X
6.	MINTREL014	ეროვნული უსაფრთხოება და საერთაშორისო ურთიერთობები	X	X	
7.	MINTREL015	რეგიონული უსაფრთხოება და პოლიტიკური გეოგრაფია	X	X	
8.	MINTREL006	კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების მართვის თეორია და პრაქტიკა	X	X	X
9.	MINTREL016	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები	X	X	X
10.	MINTREL026	კიბერუსაფრთხოება	X	X	X
11.	MINTREL006	კონფლიქტებისა და სამშვიდობო პროცესების მართვის თეორია და პრაქტიკა	X	X	X
12.	MINTREL007	თანამედროვე პოლიტიკური სისტემები და მათი შედარებითი ანალიზი	X	X	X
13.	MINTREL029	ბირთვული უსაფრთხოებისა და გაუვრცელებლობის პოლიტიკა	X	X	X
14.	MINTREL017	ევროპული ინსტიტუტების როლი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში	X	X	X

15.	MINTREL037	სტრატეგიული კომუნიკაციები და ეროვნული უსაფრთხოება	X	X	
16.	MINTREL018	ნატო – საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტი	X	X	X
17.	MINTREL019	აშშ და თანამედროვე მსოფლიო წესრიგი	X	X	
18.	MINTREL020	პოსტსაბჭოთა ქვეყნების საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის დეტერმინანტები	X	X	X
19.	MINTREL021	სამხრეთ ევრაზიის (კავკასია, ცენტრალური აზია და სამხრეთ აზია) რეგიონული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მექანიზმები	X	X	X
20.	MINTREL022	ახლო აღმოსავლეთი – დემოკრატიული გარდაქმნების ტალღა	X	X	X
		პრაქტიკული კომპონენტი			
1.	MINTREL023	პრაქტიკა	X	X	X
		სამეცნიერო კვლევის კომპონენტი			
1.	MUNIV032	აკადემიური წერა	X	X	
2.	MUNIV033	კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში	X	X	X
3.	MUNIV034	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა	X	X	X

+ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი +
+ CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY +